საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№558 2020 წლის 18 მარტი ქ. თბილისი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. მიეცეს უფლება ხაშურის მუნიციპალიტეტს, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 71 984 (სამოცდათერთმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაოთხი) ლარისა და „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 3 630 (სამი ათას ექვსას ოცდაათი) ლარის ჯამიდან – 75 614 (სამოცდათხუთმეტი ათას ექვსას თოთხმეტი) ლარიდან 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი მიმართოს

სოფელ ნაბახტევში მინისტადიონის მოსაწყობად, ხოლო 35 614 (ოცდათხუთმეტი ათას ექვსას თოთხმეტი) ლარი მიმართოს სოფელ მცხეთიჯვარში მინისტადიონის მოსაწყობად.

2. ეთხოვოს ხაშურის მუნიციპალიტეტს, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, ამავე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული განკარგულებების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიების შესახებ ინფორმაცია (თითოეული ღონისძიების მითითებით) წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**